ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის და მკვლევარების ატესტაციის ჩატარების წესი

1. ეს წესი არეგულირებს აკადემიური პერსონალის და მკვლევარების (შემდგომში - პერსონალი) სამსახურებრივი საქმიანობის, პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის და შესაძლებლობების შესაბამისობის შემოწმებას მათ მიერ დაკავებული თანამდებობის მოთხოვნებთან დაკავშირებით (ატესტაცია).

2. ატესტაციის მიზანია:ა) პერსონალის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის და შესაძლებლობების განსაზღვრა მის მიერ დაკავებული თანამდებობის მოთხოვნებთან შესაბამისად;ბ) პერსონალის პროფესიული დონის გამოყენების პერსპექტივის განსაზღვრა;გ) პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული მომზადების ან გადამზადების საჭიროების დადგენა.

3. ატესტაციის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და ატესტაციას დაქვემდებარებულ პირთა წრეს განსაზღვრავს უნივერსიტეტის რექტორი.

4. ატესტაციის ჩატარებისა და ატესტაციას დაქვემდებარებული პერსონალის განსაზღვრის შესახებ რექტორის ბრძანების შესრულების მიზნით იქმნება საატესტაციო კომისია შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით.

5. საატესტაციო კომისია შედგება 5 წევრისაგან.

6. ატესტაციის ჩატარების ვადებს, წარსადგენი დოკუმენტების ნუსხასა და მათი წარდგენის ვადებს, ატესტსაციის ძირითად და დამატებით კრიტერიუმებს, ატესტაციის ჩატარების ფორმას და შეფასების წესს განსაზღვრავს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო.

7. ატესტაციის კრიტერიუმებს ფაკულტეტის საბჭო უგზავნის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატესტაციის კრიტერიუმებს შესაბამისი დასკვნის თანხლებით გადასცემს აკადემიურ საბჭოს;

8. ფაკულტეტის საბჭოს მიერ შემუშავებულ ატესტაციის კრიტერიუმებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის საფუძველზე ამტკიცებს აკადემიური საბჭო;

9. ატესტაციას ატარებს ფაკულტეტის საატესტაციო კომისია.

10. საატესტაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება მიღებულია თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. 11. ატესტაციის შედეგების მიხედვით საატესტაციო კომისიას გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი დასკვნა:ა) პერსონალი შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;ბ) პერსონალი ნაწილობრივ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას (საჭიროებს კვალიფიკაციის ამაღლებას);გ) პერსონალი არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

12. დასკვნას საატესტაციო კომისია წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს, რომელიც თანხმობის შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად დასკვნას წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

13. ატესტაციის შედეგები შეიძლება ატესტაციის მონაწილემ გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში, რომელსაც ქმნის უნივერსიტეტის რექტორი. საპრეტენზიო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს საატესტაციო კომისიის წევრი.